ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5839316

ნომერი: AR1870204

თარიღი : 30.12.2021

გაცემის თარიღი : 09.03.2022

გაცნობის თარიღი : 09.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვარკეთილი III მასივი, VI კვარტალი, კორპუსი N1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მასივი III , კვარტალი VI , კორპუსი 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა გუგუშვილი პ/ნ 01017000220
- თბილისი გ.ჭანტურიას ქ. N 5 ბ. 15

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
1.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N61 განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, საჭიროა გაერთიანდეს საპროექტო მიწის ნაკვეთები. ამასთან, გიაქტიურდებათ რუკის ცვლილების ღილაკი და საჭიროა რუკაზე მოინიშნოს გაერთიანებული მიწის ნაკვეთი.
2.საჭიროა დამატებით წარმოდგენილი იქნას ხაზოვანი ნაგებობის N01.02.225 (შპს "მაგთიკომი") მესაკუთრის პოზიცია სამშენებლო სამუშაოების თაობაზე. საჭიროა წარმოდგენილი იქნას სს "თელასის" დადებითი პოზიცია სამშენებლო სამუშაოების თაობაზე.
3.საკითხი გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში N60-0122066411. პასუხი გეცნობებათ დამატებით.
..ტოპოგრაფიული გეგმის ველში ატვირთეთ მხოლოდ ტოპოგრაფიული გეგმის ფაილი. შენობის განთავსების სქემა ატვირთეთ შესაბამის ველში.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.